

1930



სქანანემსანი

1930

საბჭო



ა დ ა მ ი ა ნ ო ს ა ნ ი

Adamianossani

შე მოდგომა 1930
პ ა რ ი ს ი

Automne 1930
Paris

კ ა ე კ ა ს ი ე ლ ა დ ა მ ი ა ნ ო ს ა ნ ე ბ ი ს
კულტურული ორგანო

№ 1

**Organe Culturel du
Caucasus humanitaires**

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
1 თავი თქმა	2
2 მანიფესტი	3
3 გულა დაფიქრდი	5
4 დასასრული	8
5 ყოფნა	6
6 მუხის ფერი	9
7 ბედის ქვა	12
8 კავკასიის გაერთიანების იდეა	15
9 უსზოეთში მუღაპ ქართველებს	18
10 კეთილ ადამიანებს	18
11 გულშემატკივართ	19



თ ა ვ ი თ ქ მ ა

დღემიწის მობინადრე ადამიანიც საერთო სამყაროს მიმდინარეობას იზიარებს... იზიარებს და ექვემდებარება, სხვათაშორის, მიძინებასა და გაღვიძების სტიქიონებსაც.

ამ თვალსაზრისით რომ მივხედოთ ადამიანს, მის უბე-კალთებში მრავალ ძალების მიძინებასა და გაღვიძებას აქვს ადგილი.

მაგრამ თავი თქმის გასწვრივ ზევნ გვინტერესებს ადამიანურისა და არა ადამიანურის ე. ი. სიკეთისა და ბოროტების სტიქიონები.

ბოროტი ძალის ბატონობის კვერთხი ნიეთია. იგი გამოიღვიძებს თუ არა ადამიანის სატანჯველად ნიეთის სახეს მიიღებს. ძველ აღთქმაში ეს გარემოება ძალიან ლამაზად არის გადმოსმული.

გაიხსენეთ ადამისა და ევის სდუნების ნაყოფი.

ნიეთმა დაუდო ადამიანის ტანჯვას სათავე. სული მიდის ნიეთის სამსხვერბლოზე ბოროტების ხანაში, კაენი აბელს ჰკლავს.

გადის წრო და ტანჯული იესოს სახათ სული ანუ სიკეთე იღვიძებს. იწვევა სულის სამსხვერბლოზე ნიეთის მიტანა.

ამრიგად სიკეთის სახე და საურდენი სულიერი აღდგომა და ამაღლებაა.

მაგრამ ზღვის მიქსე-მოქსევისათვის მიმდინარეობს მიძინებ-გამოღვიძება და ბოროტება კელავ იღვიძებს, იბრუნებს ბატონობას. იმართება საზღაპრო შეჯიბრება ნიეთის შექენისათვის ახალ ხანაში, ითხზებიან ფანტასტიური გეგმები მომავლის, სადაც მრავალ თაობათა ტანჯვა და ძალ-ღონეა ნავარაუდები ბოროტების ანუ ტანჯვის მარადიულ ბატონობისათვის.

კაპობრიობის გასწვრივი წყვილად წარმოადგენს.

გაბასრული, ტკივილებით ანთებული გული იწვის, ბნელში გდია მივიწვებული..

ზღვა მოიქცა, მაგრამ მიქსევის ხანაც დადგება. სიკეთე გამოიღვიძებს ბოროტების დასათურგნად სულისა და ზორის თავისუფლები-სათვის.

ამის მახარობლად განთიადის ვარსკვლავი—ადამიანობაა, რომელიც წამებულ მიწამ—კავკასიამ წარმოშვა.

კავკასიელ ადამიანსნების

მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

ღრთა მიმდინარეობის მიდამოებში გარემოსთან ბრძოლა, გარემოსთან შეგუება ზდება.

ადამიანის ბუნება, როგორც კანონიერება და ძირი თავისებური სი-
 სოცხლის შეგუებასა და ბრძოლას თავის, ადამიანური არსებობისათვის
 ახდენს.

აუტანელია ნივთიერი და სულიერი გარემო?

ადამიანიც მისადმი სამუდამოდ შეურიგებელია!

ამ ტიტანურ შტარველობისა და მკვლავლობების დროს ჩვენი საზოთ
 გამოდის მორიგი ადამიანი თავის შეურიგებლობის, წყრომის, და ტკი-
 ვილების გამოსატანად.

ადამიანი გულია სიპოცხლის. მასი მიტანი ვილამ ფანტასტიურ
 თაობისათვის უდიდესი შტარველობაა. სიპოცხლის ძირი—სალკეული
 ადამიანი თაობისათვის თავისუფლად უნდა სუნთქავდეს. თავისუფლად—
 და მიდიოდეს თაობის სასაფლაოზე.

სალკეულ ადამიანის სისხლი და ხორცი შეიძლება შეიწიროს მხო-
 ლოდ რიალურად არსებულ, მორიგ და არა მოვლილ თაობამ.

ადამიანის ღირებულების არარად, იარაღად ქცევა სოპოლისტურ
 თუ კომუნისტურ მირაქებისათვის სწეულობა, სულით ავადმყოფობა.

ერთეული სიპოცხლის მდინარეც იმთავიდანვე მომდინარეობს.
 მისი არსებობაც დროის მიერ დაუშლელია თვით ადამიანის არსებობამ-
 დის. იგიც მომაკვდაობასა და მონობას შეურიგებლობას უშაადებს.

ერთეული ორგანიზმის დაშლა, დაზიანება უდიდესი მწვალებლო-
 ბაა, კაპობრიობის გულის მკვლავლობა.

სქესობრივი მარქალის სურნელოვანი სუნთქვაც გაქვლილია.

ფული და ეინი აცენს მის ფერად ფურსლებს. ქალ-ვაეობა უმოწყა-
 ლოდ ჭკნება ჭონჭებში და ოქროს ქსოვილშიც. სქესობრივი ჭმუნვა იგივე
 კაპობრიობის ჭკნობაა, გაუზარებლობა.

კლასების საზოთ საუბარი კაპობრიობის მთლიანი სხეულის ხელო-
 ვნური დასაზიარებაა.

ჩვენ უარყოფთ ავადმყოფურ მიდგომას და მადგომილობას.

კაპობრიობის მიდამოებში დამორჩილებისა და შურისძიების
 გრძობები იბრძვიან, აყენებენ ღვარძლის მდინარეს, სადაც იბრძობა ყო-
 ველდღიურობა, ადამიანის, ერის, სქესის და თაობათა თავისუფლება, პარ-
 მთ ში, მუსიფი.



დღეს მეტად ვინემ ოდესმე კაცი აკეიატებულ აზრებში იკლაკნებოდა. კვიმატი ლამეები სისხლისფერ მოჩვენებებით მოსვენებას ართმევენ. ლანდებისათვის სინამდვილე, სიძალადე საზრჩობელაზე გადის. ადამიანი ბორჯავს ნივთისა და სისხლიან სიზმრების ბრწყალეზში. ჩვენი დროის წყვილიადს წყრომას ვუძალებთ. მოუწოდებთ დედა-მიწაზე ადამიანობამ გამოიღვიძოს და შეებრძოლოს ბოროტების ბატონობას. ჯა მისსეს სიკეთეს, სულის თავისუფლებას.

ნათიერ ტყეუობიდან გამოსხნილი, სულით-ხორპით თავისუფალი ადამიანი მოელენისა და მოქმედების საზომია. ასეთები გვეგულეზა დედა-მიწაზე, ჩვენი მიმართეა მათთადმი არის.

მათი შეერთეზა შეეა შურისძიების ტყის გასაჩეზად. მათი შეერთეზა შექქმნის ადამიანოსნობის ლაშქარს.

და, აჰა. აღსდგე ადამიანო—წმიდა ნაწილეების: ერის, სქესის, პიროვნების და თათბათა თანზომისა და თავისუფლების დასაძავედ!

ადამიანოსნობა—განგაშია თითულ კაციდან ადამიანურ გრძნობების გამოსაძაზებლად!

ადამიანოსნობა—კიაფია კატასტროფის—კომუნისმის ასაძილებლად!

ადამიანოსნობა—სინათლეა კაპობრიობის სიძალადის ძაზე!

ინდო ინასარი
მურმანი
ვახტანგ ორბიძე
ანდა ინასარი
პოტნე ახალი
თემო ნათელი
სიო სოსლანი

29-IX-1929 წ.

ქ. ტფილისი.

გ უ ლ ო დ ა ფ ი ქ რ დ ი

მიედივარ, მიმაქვს ტრფობა და ფიქრი...
 მიხმე, მითხარი, გულო, სად მიპქრი?
 მამულში მოდის თოვლი და ფიფქი,
 გულო დაფიქრდი.. გულო დაფიქრდი..

ქარბუქი ლეწავს ხეებს და რტოებს,
 აქსეუს, ახერგებს, წერგებს არ სტოვებს..
 ტყეს უღამდება, ფოთოლი სსცივია—
 ქარში და გულში სივა და სივა.

მინდა დაეღვარო სევდა ესოდენ—
 მუნჯი მე გავბდი—ქვეები ატირდენ..
 თხვრაც არ ძალმიძს—ჯავრს ვამლეუ ხორსებს,
 შვებას ვინ მომსემს.. შვებას ვინ მომსემს..

დღევ დასაღონო, მზე აღარ მითბობს,
 უამინდობით ვხმები რხევადი,
 ქვამ მაინც სრემლი მე რომ დამითმოს—
 მოვეხვევოდი.. მოვეხვევოდი...

ხე რაღად გვინდა ოდენ გახმება,
 ვერ მოვწევა წადილი, ხმევა..
 მიხმე, მიედივარ.. ოხ, რაღად სივა?
 ტანჯვამ ტანჯვისთვის გამომაძილა.

მოგწედი მამულსა და დამუნანა
 ურმული ტკბილი და ნანინანა..
 თოვლმა და ფიფქმა თუ კი გასტანა
 გაუწეულდება ქვასაც ატანა..

მიედივარ, მიმაქვს ტრფობა და ფიქრი...
 მიხმე, მითხარი, გულო, სად მიპქრი?
 მამულში მოდის თოვლი და ფიფქი,
 გულო დაფიქრდი.. გულო დაფიქრდი..

ინ დ ო ინ ა ს ა რ ი

29-X-1929

არტაანის მთები.



დახასრული

ნაწევები დაუბეჭდავ წიგნიდან
«**დამიანოსობა**»

.....
 უფსკრულს წაეადგე..
 კასის მაგიერ ხე ეგდო ძირსა.
 ვერ გამერჩია, სას ბინდა ედო,
 კასის მაგიერ ხე ძირს რად ეგდო?
 ზემ კვდება ვანა?
 ვიპა ზე სოსხლობს, იზრდება,
 ხარობს...
 ზე რალად კვდება?
 სიყვდილის კლდეზე ზე რად ვარ-
 დება?
 მინდა გავიგო. ჩაუყვი ხრამსა..
 ხეს-კი ტოტები მკლავებზესიყვით ძირს
 დაყარა..
 და შრილია..
 ტყე დაკარგულ შვილსა დასტა-
 რის.
 მეტ შეუერთე ზემი ნუგეში.. პა-
 ტივისსემე მიწვალბულსა მეტ უნ-
 და მივსე.
 უძრავ ხესავით შრიალს მივეცი..
 უძრავ ხესავით ბინდი ჩავიცი..
 დიდებულთა ხეების ლოსვა!
 მაგრამ სხვა რამემ სულ ვამაოპა:

თურმე არ იტყვიო, დროთა მინ
 დერებში მიწვალბულს სოსხ-
 ლობს იტვლება..
 ავერ, ზის მკვდარა:
 ხის ფერი ადევს,
 ხესა ჰკავს დიძანს..
 დრო გამოიყვლის ფერი ეტვლება,
 ტოტებს დაქარგავს..
 მაინს ხესა ჰკავს, ხესა ჰკავს მა-
 ინს..
 დრო დაბრუნდება.. ზე კი დალ-
 ჰება, მტერად გადაქცევა..
 და ბოლოს ზედავ—ზეს აღარა
 ჰკავს, ზეს აღარა ჰკავს..
 იყო, არ არის..
 ზის მკვდარი თითქოს მგორედ
 კვდება..
 ფიქრობ. კითხვობ—სიძო სხ-
 ლეა თუ სასაფლავო მთელი ქვეყანა?!
 ერთი.. მგორეც..
 (გაგრძელება წიგნში იქნება)

1929 წ. ინდო ინსასარი
ქ. ტფილისი.

ყოფნა

ნაწევები დაუბეჭდავ წიგნიდან:
«**დამიანოსობა**»

ქვა რად ლოსტულობს?
 და დაეკვირდი.. ავერ, ქვა იდო..
 ქვა აღარ არის!
 ქვა სად წავიდა? ნამდვილად და-
 დის.. ეზედავ ზემ, მთვარეც მოძრა-
 ობს, მიდის მთელი ქვეყანა..
 ქვა სად წავიდა?
 ქვას უნდა გვიტობ.. გამოვეციდე
 და გამოვეციოხე:
 — ქვევ, ვის მიყვები?
 — ყოფნას მიყვავარ!
 გორავს, გასაგონარი ენით საუბ-
 რობს.
 მთელი ქვეყანა აყრილა მიდის..

გვიქრობ დავრჩი მე..
 მე სად წავიდე?
 წავდევ წინ, წყალს დავეწიე..
 — ყოფნას მიყვავარ!
 წაიდუღენა, წყალმა წარმოთქვა.
 წყლის შუღილიცა ყოფნას მი-
 ქონდა..
 წყალსაც სათქმელი სხვა არა
 ჰქონდა.
 რა უნდა მქნა, ვისთვის რა მე-
 თქვა..
 მთელი ქვეყანა აყრილა მიდის!
 ავერ, ზემ მიდის..
 ვინა ჰკავს გვერდით. ზე ვის



მიჰყვება?

— ყოფნას მიყვავარ!

ტყეს გადაუღებ, ტყეც შრი-
ლებდა.

— ყოფნას მიყვავარ!

თურმე შევბიძ ყოფნას მიჰყავდა..

ტყის შრიალიცა ყოფნას მი-
ქონდა.

და დარდათ მქონდა: მთელი ქვე-
ყანა აყრილა მიდის..

მივღებ შე იქით.. მივღებ გზა
მივეც..

წლევს რალა უნდა?

წლევა მღელვარებას იქნებ მის-
ღევედა?

— ყოფნას მიყვავარ!

ტალღებს აყენებს, წლევა ზვირთს
აბარებს.

კლდეს აივყუდო, კლდეს გამეცა-
ლა..

შე ძირს დავეცი..

მთელი ქვეყანა აყრილა მიდის.

შე ძირს დავეცი.. გულსა

მეყრება და მესმის მხოლოდ მი-
წისა რუვეა..

— მიწავე, რას მეტყვი?

მიწავე, რას მეტყვი?

მიწა წამოდგა.. მთელი ქვეყანა
თითქოს წამით დგას.

— ნამდვილი არის,—დაიწყო მი-
წამ.—მთელი ქვეყანა აყრილა მიდის..

ყოფნას მიჰყვება მთელი ქვეყანა.

შენ რა გალონებს, ჩემთან იქნები,

სხვასავით შენცა ყოფნას მიჰყვე-
ბი.

გულხმვიერებას თუ წაუღიბარ
წამო წარსულში ვრთად წავი-

დეთ,—მითხრა მე მიწამ

.....
ბავშობის მიდამოებში გადამა-
ფრინა..

რა ჩურჩულია, რა ფშვინავს მინ-
დვარად?!

ვინ ვის ეხვევა?

სასიხარულოდ ვრთი მეთარეს ვი-
ლაც ეძლევა.. ვხედავ მათ ხვევნას ხე-
ლი მოხვია.. თავდავიწყებას მოწყდა

მარცვალი—დასაბამია ადამიანის!

იმ წუთს არეინ არ იყო, ამ წუთ-
ში არის ვინმე ადამიანი..

არა ჩვენთვის სხვა საყურადღე-
ბო, სახელდობრ ის გარემოება, რომ

წინა წუთში არეინ არ იყო.. ამ წუთს

ში არის, გაჩნდა ვილაცა.

ვინაა ეს ვილაცა თუ არ ყოფნა—

ამ ქვეყნად გერ არ ყოფილი ყოფნა,
რომელსაც ჩვენ ადამიანის დასაბამი

დაეარქვიით.

მო გავყვით, საყვარელო მნობის
მოყვარევე, ეგებ ნაცნობი ან მახლო-

ბელი ვინმე აღმოჩნდეს..

სხრა თვე უმზევა ქვეყანაში გზა-
ვრად მოდიხარ, სხრა თვე დღის

მუცელში ყოფნას თან მოსდევ..

ბევრჯელეცვალა გზა და გზა ფე-
რი, მოყვანილობა, მაგრამ თვით ყო-

ფნა მისი უცვლელი დარჩა..

აგერ, მზისა და მთვარის ქვეშ
ბავშობის გზაზეც გამოდის.. იზრდე-

ბა, ხარობს..

შემდეგ შშობლებისავით ხვევნას.
აღერსს ეძლევა..

ასე მოგზაურობს დასასრულის-
კენ სიკვდილის შემდეგაც.

ავერიდები რა თანამგზავებს, გი-
კვირს—რამ გამოატარა მხოტვრების

ეს უწარმნაზარი და სახიფათო სავა-
ლი თუ არა ყოფნამ?

დიახ, ყოფნამ განიცადა მრავალი
განსაძღელი, ყოფნამ ჩაატვა ადა-

მიანს თავისებური მორთულობა.

მართლაც, გააჩერეთ, აი თუ გენ-
ბავთ, თქვენი ნაცნობი, გააჩერეთ და

პკითხეთ —ბომ არ იყო ბავშობისას,
ასეთი, როგორსაც თქვენ ხედავთ მას

ამ წუთში—ასე მაღალი და ღონიერი
ასე მხნე და გაბედული?

— არა, მაშინ სულ სხვა ტანისა
და განსდისა ვიყავი,—გეტყვის ის.

მაგრამ იყო თუ არა იგი ბავშო-
ბისას?

იყო, რასაკვირველია! თავიც
რომ გააქნოთ უარის სათქმელად,

ჩვენ მას ვერ დაუჯერებთ.

რომ არ ყოფილიყო გაბდებოდა
თუ არა ის აი ასეთი, როგორც არის?

არა! ვერც ასეთი და ვერც ვერა-
ნიერი ვერ გაბდებოდა.

მაშ ამ სახეში რამ მოიყვანა თუ
არა ყოფნამ?

ყოფნამ, ყოფნამ!
ყოფნას მოჰყვება ადამიანი..
იყო ისეთი, ისეთი დღეს აღარ
არის.. იყო მაშინაც და დღესაც არის.

აი, ეს ყოფნაა ატოვიანებს ისეთს,
სეთში მოჰყავს.



ოდესღაც ადამიანს თაყ-ხელი არ
ქონდა, არ ქონდა ადამიანის სრული
სახე და მოყვანილობა, მაგრამ იყო
კი დედის მუცელში ყოფნის მარტვა-
ლი..

მარტვალი შემდეგ მთლად შეი-
სვალა, ყოფნამ იგი მზებზე გამოიყვა-
ნა.. ბოვშობის ველი, ვაქცაპობა
გამოატარა და ამ ყოფაში მხოლოდ
ყოფნემ მოიყვანა თქვენი ნაწინები.

ვთქვათ თმა შავი გაქვთ.. გავი-
თვარდებათ, მაშ ეინ მიიყვანს ადა-
მიანს თმის სითეთრემდის?

ყოფნა|
ყოფნას მიჰყვება ადამიანი სიკე-
დლის შემდეგაც, დასასრულამდის.
განა მარტო ადამიანი?

არა! ყველაფერი ყოფნას მიჰყე-
ბა თაყისებურად.

ქვაც თაყისებური მგზავრია, ადა-
მიანისავეთ ყოფნას მიჰყვება.

არაო, მეტყვის სწობის-მოყვა-
რე, ქვა იყო და ასეთი იქნება სიკე-
დლის შემდეგაც, ჩვენი სიკედლის
შემდეგაცაო, რასაკვირველია.

კი ჩვენი სიკედლის შემდეგაც
ქვა კიდევ ასეთი იქნება, ჩვენი შეი-
ლის სიკედლის შემდეგაც... ქვის
ძვლილებების შესამჩნევად არა ერთი
და ორი, არამედ მრავალი თაობებია
საჭირო ისე, როგორც ადამიანის
ძვლილებების დანახვას დღეები და
წლები სჭირდება.

წარმოიდგინეთ ისეთი სწოველი,
უკეთ, მწერი რამ, რომელიც წამს
სოცხლობს მხოლოდ.

ვთქვათ ამ მწერმა მოახერხა წამ-
ში ადამიანის სახის დანახვა. იგი
ადამიანის სახეს წაიღებს იმ ქვეყნად
ისე, როგორც ჩვენ ქვის საზე მი-
გვაქვს. დაუშვათ, მეორე წამს, მწე-
რის სიკედლის შემდეგ—მის შეილ-
მა დაინახა იმავე ადამიანის სახე.. მე-
სამე წამში შეილის-შვილმა და ასე...

წარმოიდგინეთ მწერების რამ-
დენი თაობა შეეწირება, ვინემ ადა-
მიანმა სახე იძვალოს, ბავშობიდან
სიჭაბუ;ისა თუ სიბერის მინდორში
მოვიდეს?

ერთობ მრავალი!
ამ სიმრავლის გამოცნობაც ძნე-
ლი არ არის—ვიპით მწერი წამს
სოცხლობს, მხოლოდ უნდა გავი-
გოთ წელში, მრავალ წელში რამდენი
წამია და ჩვენ დახოცოლ მწერთა თა-
ობები გვეცნობიანება.

აბა, შეეკითხეთ თითოეულ მწერს
—იგი გეტყვით: «ადამიანი იყო და
იქნება ქვასავით უძველელი ნიადამ».
მწერი წამს სოცხლობს და ადა-
მიანი კიდევ შესამჩნევ ცვლალეებებს
წამში ვერ იწვევს.

მწერი მართალი არის, ერთობ
მართალი! ადამიანიც ქვასთან შედა-
რებაში ყოფნის მიხედვით მწერია
მხოლოდ, წამით არსებული რამ.

თითოეულ ადამიანის სოცხლლე
ანუ ყოფნა ამ ქვეყნად ქვისათვის სი-
ცნათელას ერთი გაელეებაა, ერთი
წამი და სხვა არაფერი.

სიცნათელას ერთი გაელეებით-
კი შეუძლია არსებულის მხოლოდ
დანახვა.

ასევე ქვას ხედავს ადამიანი, მისი
მგზავრობისა და სხვა რამის არა გავ-
გერა-რა.

მწერმა არ იცის ადამიანის უძმე-
ნება, ადამიანის თავდავიწყება.

ადამიანმაც არ იცის ქვის დარ-
დი, ქვის გარემოება.

ქვაც ადამიანისავეთ სხვა-გვარად
ყოფნის სადგურში მიდის ახალ ყოფ-
ნისა და ახალ მგზავრობის უფლები-
სათვის.

ასე წავა ყველაფერი ამ წარმა-
ვალ წუთისოფლიდან.

ახლა ბუნებრივად დგება ჩვენ-
თვის ყოფნის გაგების საკითხი—
ყოფნა რა არის?

(გაგრძელება წიგნში იქნება)

ინდო ინასარი

მ უ ხ ი ს გ ე რ ი

ნაწილი პირველი

— ხალხის ტყავი ჩიპვი და გადი გარეთ, მე შენ გეტყვი, შეგპიჯვა აი?

სახლი, კარი, საშუმელ-სასმელი შენთვის ყველგან მზად არის.

ასე დაიწყო გულიდან ტვირთის ჩამოსახდელად და თან ხელების ფშვინტით არაყი გადაჰკრა.

— ხალხის?

მორიდებით შეეკითხა იქვე მკდომი და ძეხვი გაკბინა.

— დიან, ხალხის!

სიამოვნებით წამოიძახა და რამოდენიმე არაყს ზედი-ზედ დააყოლა, თითქოდენ საძნელ საქმისათვის ემზადებოდა.

სამხრეთ საქართველოს მივარდნილ თემში იყო ეს. ქვითკირის მშობრე ოთახში, მსირე ხის მაგიდას ორი კაცი თავს ევლებოდა.

— ხალხის ტყავისათვის..

დაიწყო ისევ პირველმა.

— ხალხის ტყავის დასაძავად! გააწყვეტინა თანამოსაუბრემ და სადღეგრძელო ასწია. გრძნობებისათვის კარის ვაღვანს ვრიდებოდა.. საუბრის მიმართულების შეცვლას შეესადა.

— არა, მე მართლა ვამბობ.. ხალხის ტყავისათვის იხსებთან..

ო, რა გასართობია ნადირობა!

სულის ყოველგვარ მოძრაობას მისდევ.. მიიყვანს, საზრდოს თითებოთ მოგაკრეფინებს.. სურვილებს აგისრულებს.. წადილს მოგაკლავს, დაგაწყენარებს...

რა გინდა რომ არ იყოს?

ხალხში ყველაფერია— მოსვენებას.. გახარებას.. გართობას..

გრძნობებს მიეცა. გრძნობებს მიჰყავდათ ძილისათვის სადღას, სხვა ქვეყანაში.

— ხალხს დამსვენებელი ჰყავს.

თავზე ხელალებულ მონადირეებს ადვილად არ უთმობს.

შეედავა თანამოსაუბრე.

— დიან, დამსვენებელი ჰყავს და მითომ ჩნდებიან სიძნელეები, გასართობი მოსახვევ-გადასახედები სიყვილო სიძოცხლის გზაზედ.

— არა, მე იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ ვიპავთ ხალხს, ვეფისებოთ, ვპირდებით რაღასაც..

ერთხელ კიდევ გადაისროლა საუბრის მიმართულების ასაქცეველ უკანასკნელად გააფრთხილა მოვალეობისა და უფრო კი მოსაუბრის თანამდებობის შიშის გამო. დაბოლოს თვითონაც ეშვებოდა გულს სარქველი და არ უნდოდა შიგ ჩაეხვდა. მაგრამ ამოდ— მისი მობრუნება შეუძლებელი-და იყო, პირიქით. ყოველგვარი შენიშვნა, სდა სეხლს უნთებდა, ნავთს ასხამდა ისედაც გაფისებულ კასს. ამიტომ წერეიულად გააელო, ვადგა ოთახის შუაზე და პურს ფშვნა დაუწყო.

— აი, — მობრუნდა, — ჩვენი დაპირება ეს პურიგულია ჩიტებს რომ გადაუყრიან მოსატყუებლად.. პურიგულია, პური რომ ფრინველისათვის მოეიტყოთ ხალხი... ძალს ლუკმას მიუგდებენ— ყუფა შესწყვიტოს.. ნადირს მახეს დაუგებენ თვალების ასახვევად..

კიდევ რაღასაც ბურტყუნებდა — ტანით, აზრით და თვალებით აქტივით აწყდებოდა განწყობილების გამოსაშვებად. ბოლოს დაუახლოვდა, მხრებზე ხელი დაადო და უთხრა:

— ო, შე საბრალო, შენს თუ გჯერა ეს.. შენს თუ გჯერა რომ ხალხს ვიპავთ.. ფრინველს ფეტვს დაუყრიან, მარსვენებით მოეიტყუებენ, ძალს ლუკმით მოიხვევენ.. ნადირს მახეს დაუგებენ.. თევზს ანეეს ვადუგდებენ თვალების ასახვევად..

ჩვენი თიბი და დაპირებას გულბრუნული და გიჟი ხალხის მოსატყუებელი, მოსახვევი და მახევი გასამბელი ხერხია.

დაშვილებით გაუმერა თანამოსაუბრეს უფრო თავისი-თავის დასამშვილებლად. ის მზად იყო ათჯერ, ათასჯერ ეთქვა, რომ მოწოლილი ჯაჭვი როგორმე გარეშდ გამოვდინა.

— გესმის, ჩვენი დაპირება, პურიგულია. პურიგული...

თანამოსაუბრემ პირველად იგრძნო ხალხის მოსაწვევი ყველა ძაფები ხელში. აქნობამდე ჯერ კიდევ ეჭვი ჰქონდა, სჯეროდა...

— ასში ერთი მართალი როგორ არ უნდა თქვა, ასში ერთი როგორ არ უნდა გადაარჩინოს სიკვდილს, ასში ერთი როგორ არ უნდა მისსე სხვას, რომ დაგინანოს... საიქაოს თუ არა საიქაოს მაინც მთლად უფსკრულში არ ჩავარდეთ. ერთ ძაფზე მაინც ჩამოვიდოდ. ხმის გამსმევი გყავდეს კაცს...

მის გულში რაღაც ხრჩოლავდა. პირველად შეხვდა პირისპირ მთლად ჯოჯოხეთიდან მობრუნებულ კაცს, რომელიც მხოლოდ ნაპერწკალსაც უქრთბდა. უკანასკნელ ძაფსაც უწყვეტდა...

— რა გენაღვლება — ართმევი, ეალს იღებ—ეუბნივი შენი შეილის, შეილის, შეილის, შეილის... შეილი გაიხარებს - გადავიგდისო... შენ რა, გაიხარებს ან არ გაიხარებს თუ არა?

ამ აზრმა, სიტუა არ იყო, თანამოსაუბრე დააფიქრა. მართლაც, მას რა? ისინი ხომ მომავალ, რომელღაც თაობისათვის იბრძვიან. და ფიქრებში შორს გაიხვდა, უნდა დაენახათ რუმელი თაობა იქნებოდა, მაგრამ ვინ? რა? არაფერ არ იხედებოდა. მობრუნდა, ისევ უკან მოიხვდა და გაქყავებული ხალხი თვალწინ დაუდგა.

— მერე ამ უბედურთ რა? ამ უბედურთ რა უნდა მოეთხოვთ იმით, რომ ოდესღაც რომელღაც თაობა გაიხარებს? იგი ხომ უსწო და გადამთიული იქნება. ისიც ვინ იმის, გაიხარებს? ესენი დღეს, ხვალ დაიხოსებოიან... ტანჯვა წამებას მიწაშა ჩაიტანებენ.

არ სჯეროდა ასეთი შედეგი. უნდა ღიად ხალხი და რომელიღაც თაობი ერთმანეთთან მიეყვანა, საიქაოს მაინც ნუგვევი გაეტანებინა უბედურთათვის, მაგრამ არა! არავითარი თაობა არ იხედებოდა. არ მოდიოდა მომავლიდან.

— მაშ ეს ხალხი რას უქმდის? ვის ელოდება?

ქერი ჯაა!—გაატყავს თითები — მართლა პურიგულია, პურიგული ხვენი დაპირება...

დაიჯერა, უკანასკნელი ძაფი გაუწყდა. გასწყვიტა ქვეყანასთან კავშირი.

— ჩვენ მათ პურიგულს უყრით, ისინი სამაგიეროთ პურს გეპყმევენ. აი, მაგალითად, ეს ვინ მოიტანა? მაგიდას მიმოავლო თვალი და თვენი პირველად შენიშნა.

— თვენიც ყოფილა! ავი გითხარი ხალხში ყველაფერი. რაც გინდა სეულ და გული. ოღონდ მოხერხება მოთხარი.

კმაყოფილებით დაჰყვეს ხელი. არტანულას თვენი (მტკვარს მესხეთში არტანულას ექაზიან) გემოთი ძროხის ერბოში შემწვარს ძხვს არ ჩამოუყარდებია, პირიქით, არაფერ და თვენი კაცის მადას უფრო აღნიშლებს.

— ხალხი?!

თვეზია ხალხი! ნიძლავს დაედებ. ვისთანაც ვინდათ ნიძლავს დაედებ, რომ ხალხი თვეზია. თვეზიც სოსხლობს და ხალხიც, ხალხსაც იყერენ და თვეზსაც.. რა განსხვავება, მითხარ თუ ქმა ხარ?

— არავითარი.

დაჰყვეს დაეთანხმა და სიმართლისათვის თვითონაც აღნიშნა:

— თვეზს უთქვამს—„სათქმელი ბეჭი მაქვს, რომ წყლით პირი სავსე არ მქონდესო“, მაშასადამე თვეზს ენაც ჰქონია.

— ენაც, თავიც, თვალიც.. ეს სიტყვამ მოიტანა და ვამბობ, თორემ მე ასე შორს არ წავალ.. თვეზიც სოსხლობს და ხალხიც, ხალხსაც იყერენ და თვეზსაც.. აი ქვემარტივბა! კაცს ვეტყვი დამაჯეროს, რომ ეს ასე არ არის.

თვეზიც სოსხლობს და ხალხიც ხალხსაც, იყერენ და თვეზსაც...



იმორებდა. უყვარდა ამ ორი თვისების აღნიშვნა. ამით თევზისა და ხალხის იგივეობა თავისთვის ნაპოვნი ჰქონდა და ამიტომ მისი გამოთქმას რაღაც სიამოვნებას გვრიდა, გავლა-გამოვლას სიხალისეს აღლევდა.

— ეგებ ეინმე მოთხრას—თევზს ერთი იჭერს და ხალხს მერაუფა? მოთხრას—და ტყვიასავით მივახლა— შე კაი კაპო, ყველა ხომ ხალხს ვერ დაიჭერს ან ყველა ხომ თევზს ვერ დაიჭერს.

— ვერ დაიჭერს, ვერ!
ნიწნულად შესინა და სადღე-გრძელა ასწია.

— გაუმარჯოს ხალხის..
— დაძლანჯა!

გაწუხეტირა მოსაუბრემ. დასცალეს. ხალხის არ დამზოგველები არს თევზს ზოგავდენ.

— ამის დაჭერას იცი რა უნდა? მხრებში მოყრილ თევზს ხელი გააელო, გაგლიჯა და მაინს ვერ დაშვიდდა. თევზის მოყვანილობამ მასში რაღაც წარმოდგენა წამოაყენა, რომელსაც შეეჭიდა არაყით გამწვარებელი კაპი.

— ხალხი თევზით ფიხიხელია, — დაიწყო ისევ მოსაუბრემ. — მიხვალთუ არა მირბის.. ლოდებში და მორევი მიგიყვანს.. მერე წყლის მორევი რა არის? ღონე მინდა, რომ ხალხში შეხვიდეთ. ჯიუტია ხალხი ახი. მათი დაგრბობა, მაინს არ ტყდებდა. ქვა და ლოდების იღლიას ხალხის ძალით უნდა ააგლიჯო.

სხარობდა. უნებლიედ ისე დამკლავა კლავები, გვერთებოდათ ქვების ქვეშ მართლა თევზს იმორჩილებსო.

— აგერ, ჩაადგეთ!
გამარჯვებულმა ვითომ თევზი ტაფაში გადაისროლა.

— ხალხი?!, —
უფრო გაანჩხლებით დაიწყო.

ტაფაში უნდა მოხარაკო.. მოწვა.. წვენი წამოადინო და.. შემწვარი შეჭამო..

თითულ სიტყვას, როგორც ხეს გველი ისე ვხვეოდა.. თითულ სიტყვას რაღაც ველური ენით წუწვნიდა.

— ხალხი?!

უნდა გაფსქვნა.. არა, გაუფსქვნილი და..

უკვე ხრინწიანი ხმით ღერღეა და თავის ბუნების სიბრძნეს.

თავდაფიწყების წუთები!
დააფიწყა თავისი თავისი, მოვალეობას.. გულ-ღვიძლი წყლს მიუშვირა გამოსარეცხად.

არიან წუთები, როცა თავის მიგნით კაი წყალს შეიყვანს და ხანგრძლივ ნაფიქრს-ნაგრძნობს გამორეცხს, გარეთ გამოიტანს.

ეს ორი ლანდის მაცვარიც, ჩემო მკითხველო, ერთი მუდამ მკლდომი მაგიდასთან და მეორე მუდამ მავალი მაგიდის მასლობა ღელ გულ-ღვიძლს ირეცხდა, რაღაც იდუმალ ზრახვებს იზიარებდა.

ქვეშარიტად, მბატყარი რომ ცუთილიყაე ერთ მათგანს ღვიძლ დავხატავდი ქეასთან ამოსულს.. ღვიძლად, რომელიც თავს ზრის ქარში და ტოტებს ქეასეე ახვედრებს.

მეორეს-კი ხმელი ეკლით გამოვსახავდი.. ეკლით, რომელიც პაერის ყოველგვარ მოქრობასში ინძრევა და უსიამოვნოდ ხრისინებს.

საღებავმა იქნებ გავიადვილა, სწობის-მოყვარე, ეკალში—ეკლის ფერის, მოყვანილობისა და ეკალის-ვით იარაღ-ჩასმულობის ჩეკისტი გააპოხლდა.

ღვიაში კიდევ მაგიდის წინ ღვიძის ფერისა და მოყვანილობის დაწინაურებული მუშა.

— ხალხი?!, —
კვლავ მოხვდა ეკალი ხეს, — ხალხის სისხლი და დალიო..

გახურებულმა ჭიქა ვადაცდო. ბოთლს ხელი მოავლო და მოიყუდა. მაგრამ უმტყუნა, ბოთლმა ძირი უჩვენა მოსაუბრეს.

წყულმა თითქოდენ შხამი მოწვიოა, ისეთი წყენით ღწვა აწუელი ბოთლი სარკმელს და მიდგა თვითონაც შუბლის გასაგრილებლად.

ძალით ნატყობსნი უტრუელი ქვას მოხვდა გზაზე და დაიმტვრა სწორედ იმ დროს, როცა გზაგრი სარკმელს უსწორდებოდა.

— ერთი ნაბიჯიც-და მე მომხვდებოდა, — ჯერ გაითსა ფიქრიდან გამოსულ გამვლელმა, მერე აკრთა

მინის ნატეხები, გზის გადაღმა გადა-
 იტანა და ხალხის ჩვეულებისამებრ
 დაფლა, რომ უნებურად საქონელს ან
 კაცს ფეხი არ გაეჭრა.

— ჩემი დამარხვა უნდა!
 წამოიძახა გამწვარებულმა და
 უფრო წინ წაიწია.

— კაპი მეგონა.. არა, კაპია...
 მხრებგაშლილი და მუხსასავით
 მშვიდი ადამიანი ხან ხედ და ხან კა-
 პად ეჩვენებოდა.

გამეფულმა გაიყოლია მისი თვა-
 ლები.

განა მარტო თვალები?!
 თ, არა! გრიგალი მოვარდნილი-
 ყო. ეკალმა დაკარგა სიმშვიდე... წო-
 ნასწორობა...

— ჩემი დამარხვა უნდა!
 გაქონდა ხრისინი.

მაგიდის წინ დაწინაურებული
 მუშა ძველებურად თავსა და ხელებს
 აქნევდა. ლეიას ეკლის დარდი სულ
 აღარ ქონდა.

— ჩემი დამარხვა უნდა!
 ჩამოეკიკა აკვიტებულ აზრს,
 თავს იხრჩობდა, რომ ვინმემ ოთახის
 კარი შემოაღო.

(გაგრძელება იქნება)

ინდო ინასარი

შემოდგომა 1930წ.
 პარიზი.

ბ ე დ ი ს ქ ვ ა

(პ ა ნ ტ ო მ ი მ ა)

1
 უდაბური ნაპირი სითბოს აღვი-
 ძებს ადამიანში..

ზღვიდან გამოდის ზღვის ქალი ლიე
 ლივა და ფეხშიშველი თბილ კენ-
 ქებზე დაიარება.

მზე ჩამოსული ჩასასვლელად ნა-
 პირს მისწერებოდა.

ლიე ლივა მოულოდნელად თბილ
 ქვას ფეხს მთავდარებს, თრთოლვა
 დაუვლის ძარღვებში. პირველად გა-
 უფლვა გულმა ქალს და გააჩერა «რად
 არის თბილი ქვა?!» გაიფიქრა და ქვა
 თითქმის აიღო. ნელთბილ წყალი-
 სავით მოხედა ქვა თითებს. ქვამ არ
 აკმარა ეს—სითბოსთან ე' თად სიმ-
 ვერივეს გადასცა. ქალმაც ქვა მაგ-
 რად ჩაიკრა...

უდაბურ ნაპირზე დიდხანს ყოფ-
 ნის ნება არა ქონდა. დაგვიანებულს
 ზღვა არ მიიღებდა და კარში დარჩე-
 ბოდა ქალი ლიე ლივა. «ნახვამდისს»
 უთხრა ქვას და დაუბრუნდა ზღვას,
 თავის სამშობლოს.

მრავალი დრო მობრუნებულა,
 რომ ქალი ქვასა და ქვა ქალს სითბო-

სა და სუნთქვას აძლევდა.

ერთ ბედნიერ დღესაც უდაბურე-
 ბის მოზინადრე ბანდურმა თვალი
 შეასწრა...

შეშურდა ქალის და ქვის აღვრსი
 ადამიანი!

უნდოდა ქვა გამხდარიყო, უნდო-
 და მიერბინა, სითბო და სუნთქვა ქა-
 ლის თვითონ მიეღო. ქვა ვერ განდე-
 ბოდა და ბანდური დაღონდა.. ლიე-
 ლივაკი ამ დროს ტალღებს მიაგო-
 რებდა.. ზღვას მოეფარა.

მივიდა ბანდური და მიგდებულ
 ქვას თავზე დააფდა. თითონაც არ
 იცოდა რად მოეწონა ეს უსწაური
 ბედის ქვა. ხელი ვერ ახლო—ვინაო-
 და ქვას არ გაეფიქრა და არ მიეტოვე-
 ბინა ქალს უდაბური მიდამო.

მოზინადრეთათვის ზღვის ქალი
 მარგალიტისავით განძი და საძებარო
 იყო. სიყვარულის მეტი ვერა გამოიხ-
 მობდა რა. ამასთანავე ზღვის ქალის
 მოტაცება, ხალხური გადმოცემით,
 ვარსკვლავის ჩამოვარდნას. ბედის
 მოწყვეტას მოასწავებდა.

ყველაფერი კარგად იცოდა ბან-



დღრმა და დარდობდა—ქვა ვერ განდებოდა.. ლიეღივას გული რთგორ მოვგო?

საბრალო ბანდური ბრუნდებოდა.. «ბანდურსი, ბანდურსი.. თითქოს ხმა მოესმა, მიიხედა—ზღვის ქალი იდგა, ილიმებოდა. ბანდურმა მუხლის ჩოქით მიუტანა მორჩილება და თაყვანი ლიეღივას..

ო, უბედურო ბანდურსი ვარდის ბუჩქს ქალის სახე მივლო მის დამწვარ გულისათვის.

ფეარდია, ვარდის სოქვა და გზას გაუბრუნდა.

სიწმრებს ურთივება დედოჯალი ნაპირებს..

დღეს უფრო წეშურდა ქვის ბედი ბანდურს. ხელი ან ხმა უნდა მიეტანა თავებდისათვის, მაგრამ, ვიმეორებთ, ვშინოდა—შველისავით ფრთხალი ლიეღივა ტალღებს არ მისცემოდა დაუბრუნებლად.

უღაბურების მობინადრე ბანდურის ჯანსაღი ბუნება აუნთო ბრალ ქალის რხევად სხეულს და უმოწყალოდ სწევდა.. «წაჯიდეს—სამუდამოდ წაეა, დარჩეს და გულს ელონება. ნებნისუთვა და გული იბრძოდენ.

თვალი აარიადა, ნებნისუთვამ გული მიაბრუნა, მაგრამ ქალის ფერი ბუჩქი კვლავ გააპოცხლა მის მხურვალე გონებაში. ღონისძილი მივიდა ბანდური და ჯავრისაგან ვარდი მოტება.

«მიმიტა, მიმეკ ქალს»

თითქოდენ უბნეოდა ვარდი ვაის. ვარდს მთლად ქალის ფერი ელო.

«მივიტან, მიეცემ—ეგებ მოსიქეულად ივარჯოს, გაიფიქრა ბანდურმა და ნაპირისაკენ მიბრუნდა.

გამხნევებული ხეებს გასცილდა, გავიდა ფართობზე და სიყვარულის ხმა-ვარდი ესროლა დედოჯალს.. შვის თაყვანისმცემელმა ბედი შესთხოვა.

შეკრთა, ელდა ნაკრავი დარჩა ლიეღივა კაპის დანახვით.. მაგრამ დავარდნილ ვარდმა მიაბრუნა და დაღონებულმა ვაჟსამ მიხედა. ქვის ფერის კაპი, რომელსაც ხშირად აპოცხლებდა სიწმრებში, თვალწინ

დაუდგა. გაქვავებულმა თვალი ქვიდან კასზე და კაპიდან ქვაზე გადაიტანა.. «ის არის, ის!» უნებლიედ გამოიხმო ხმა და პასუხად ქვა გადაუგდო..

ბანდურმა ლიეღივას გული მიიღო.. მიიწივს თავდავიწყების წუთებში.. გასარებული ბანდური ლიეღივას თმაზე ვარდს უბნევდა, რომ ქალის გულს ხელი მოახვედრა.. სითბომ დაკრა ზრივებს.. ერთი მეორეს შეხედეს.

«რა ქონდა ვაჟს ხელზე?» ბანდურის ხელს ათვალთრებდა ლიეღივა.. ბანდური კიდევ ქალის გულს მიეხიდა გაკვირვებულად..

ვინმე მოხეტიალის თვალი მიიპყრო მათ ხევენამ.

შეშურდა კაპის კაპის ბედნიერება-მარტო ვერ მიხედა მისგლა, მიიბრინა და თავისიანებს ვადასა უბედური შემთხვევა უახლოვდებოდა შეეჯავრებულებს.

ათ-თორმეტი უცხო მოდგმის მობინადრე ტყის პირას მოგროვდა.

გადასწყვიტეს ერთი გასულიყო ბანდურთან გასწორებაში*) ქალის თვალის ასახვევად, მეორეებს კი შეეპყრა და გაეტაცად ლიეღივა..

ბანდურმა დანახა რა მოტეენ მიმავალი ევლური წინ გადაუდგა, გასწორება მიიღო და გაიმართა საბედისწერო შებრძოლება. ევლურების ბრძალს ლიეღივა პირველად შეესწრო. ეშინოდა მისი ბანდური არ მოეკლა ვინმე უსწობს და ამიტომ მთელი არსებით თვალყურს ადევნებდა მათ ხელისა და ტანის მოძრაობას.

ბოროტ გამზრახველებსაც სწორედ ქალის ყურადღების წართმევა სურდათ.. მიუახლოვდენ, მიპარვით გაიტაცეს ქალი ლიეღივა.

უბედურების ნიშნად მხოლოდ მისი ამოკვივალა დარჩა ნაპირებს.

მუხაზე მიბმული ბანდური ხეს ფესვიან ამოღებას უქადა, რომ ქალის კივილით გამოწვეული ზღვის ქალები გამოვიდნენ მოსაშველებლად. მაგრამ მიბმულ კაპის მეტი ვერა ნახეს რა.

*) გასწორება—«დუელი».



ბანდურმა ანიშნა უბედური შემთხვევა, მათაც აუშვეს იგი. ბანდურმა ფიცი დასდო ლიევიას განთავისუფლებიანთის და სთხოვა ქალებს მოელონათ ვინემ ის თავის მონათესავე მობინადრეებს მოუხმობდა.

გავიდა ბანდური და თავის მოდემას გასძახა ვაება.

ვაი მტერს, რომ მის საშველად მრავალი ვაეი გამოვიდა. ახოვან ხალხმა გაამხნევა მიდამო.

ახელი იყო ზღვის ქალებიანთის მათადმი მინდობა. რა იპოდენ, რომ მათაც ეს ხალხი თვალს არ აუხვევდა, არ გაიტყუებდა...

მხეზე დაფიცა ბანდურმა მსლებელი, ზღვის ქალებს ძმობა და უენებლობა აღუთქვა.

2

თრომ (ასე ეძახდნენ უსხო მოდემის მოთავეს) იპოდა, რომ ქალის გული ბანდურს ეითომ ვარდით მოეცო, მანაც გასაა ბრძანება გამოქვბული და კარ-მიდამო ყვაეილებით დაეფინათ.

ახეც მოიქმნენ—ვარდით დაფენილი გზა დახვდა ლიევიას ველურთა საბინადროში.

ვარდზე როგორ ივლიდა ქალი ლიევიკა.. როგორ უნდა გადაეკვლა როცა თვითონაც ვარდისავით გაქვლილი იმყოფებოდა.

წარუშლელი ტკივილები მიაყენეს ლიევიას—წართვეს ბანდური და ახლა სიყვარულის მოსიქულე—ყვაეილებს აქვლინებდნენ. თითქოდენ ეკალს ხვდებოდნენ, თითველ მათგანს ისე მწუხარებით ადგამთა ფეხს.

ყვაეილებს სრეხენ და მე რას დამაყრიანა ნალელობდა ლიევიკა, მოვლოდა გასრეხას..

თრომ ავი ამისათვის ემზადებოდა: ქალს ველური ქალები შემოუხსვდინა გასართობად. თვითონ მეკობრეებით ნადიმ მიეცა. დროს სეკეაში და ყიენში კვლავდნენ. ლიევიკა კი ვერადერმა ვერ გაართო—ვერს ველურთა სეკეამ და ვერს საუმელ-სასმელმა..

ღრმა კვიფში შესული იყვენ მონადიმენი, რომ გამოქვბულში გარე

დან ქვა შემოვარდა.

ლიევიას გული გაინძრა—მისს საყვარელი ქვა მისკენ მივთარადა.

«რა მომიტანე ბედის ქვა, გული მიკვდება მინდა თქვა» მიიხმო ქალმა ქვა და გამხნედა.

განსეიფრებული ველურები მიხჩერებოდნენ, უკვირდით თუ როგორ შეეძლო ქვას ვახარება, როცა წყლის ქალი ყვაეილებს უწყობდა...

ბანდური შემოუძღვა მათ საბინადროში ქალთა და ვაეთა ლაშქარს. გასწორებაში გამოითხოვა თრო და მისი მოხრენი. ველურებმა წამოიშალნენ და გასწორება მიიღეს.

ლიევიასთვის თავი დაედო ბანდურს და თროსაგანაც ამასვე ითხოვდა.

გავიდნენ, დაიწყო გასწორება. ბანდური განრისხებული იყო და მტერს მეხისავით მოხვდა—ერთი დარტყმით თრო დაეცა. ველურებმა წამოიწიეს ერთავად, სამაგიერო უნდოდით გადაეხადათ, მაგრამ ბანდურის ახოვან ხალხმა წამოაჩოქა ივინი.

ლიევიკა დაუბრუნდა ბანდურს..

3

შეთოსა და რისხვას აყრიდა უდაბურ ნაპირებს.. ზღვა ხმელეთს ქალებსა სთხოვდა...

ლიევიკამ მოატევა ველურთა საბინადრო და სევდა კი ვერ მოიხთცა. რა აღონებდა ქალს, ვერვის გავგო. ვინ რა იპოდა, რომ მას გზად ტანჯვა ედო. მხოლოდ ბანდურის გულს ესმოდა იხვრა, ბანდურის გრძობდა საფრთხის მოლოდინს.

მართლაც მალე გადაუდგა ტანჯვა გზად.. უდაბური ნაპირები—მათი გაყრის ადგილი გამოჩნდა. ლაშქარში სიხარული ბრუნავდა და მიჯნურებში სევდა უზომო.

უნდა გაწორდნენ ერთი-მეორეს. ერთი-მეორის მიტოვება კი არ უნდათ.

ჩარიგდნენ ქალები და ვაეები მშვიდობის სათქმელად. პირველიად ხელი და თაყვანისცემა ბანდურს—და მიეცა.. «მშვიდობით» მას უნდა ეთქვა. მაგრამ ვაი რომ გული არ დანებდა, ლიევიას მუხლებთან ბანდური დაედო.



ხმელეთის ხალხს გაუყვირდა—მათ სიტყვაზე ქვა უმაღლესად გატყდებოდა.

როგორ?! ბანდურმა ისინი მზეზე დააღიპა ქალებისათვის არაფერი ენათ და ახლა თვითონ პირველმა დაარღვია, გასტეხა ვაჟკაცის სახელი..

«ბანდურ!!!» ერთბაშად შესძახეს უნდოდან შეერსხვიანთ ბანდურს.

არ ესმოდა ბანდურს, ყურთა სმენა და მთელი სხეული ლიეღლივასათვის მიეტანა.

ეწყინათ ველურებს. რა იცოდნენ ვაჟკაცებმა, რომ ბანდურს სიყვარულს წაეჭკობა და მიშველებას-ღაიფნოვდა. ქალებში შიში ჩამოეკარდა, ლიეღლივას მოეხეივინენ, მაგრამ ლიეღლივას ხმას არ იღებდა, ლიეღლივას ემუდარებოდა ბანდურს არ მიეტრევებინა.

— ვაჟებო, —წამოძვრა ბანდურს და მიმართა, —ლიეღლივა მე მიყვარს, მზე არის ამის მოწამე! ჩემი თავი და ფიცი მისთვის მიმიტანია, მომეპოთ ნება წამოვიყვანო.

ველურები შეირყნენ, იცოვენ რომ მზის თავიანთსმეველი ტყუილს არ იტყვის.. კაცს არ შეარსხვენს!

— გეთანხმებით თუ ლიეღლივა ნებით წამოვა.

უთხრეს თავიანთ ბელადს, ბანდურს.

ვეელამ იგარქნა, რომ ბედი ლიეღლივა ხელთ იყო, მაგრამ იგი უღო-

ნო გამოძვრა ზღვის ქალებთან მუდარით.

— ლიეღლივა, დაგეწყვიტე წყალი, ზღვა ჩვენს არ მიგვიღებს.. გემუდარებით წამოდი, ნუ არღვევ წულის წესს, ზღვის ჩვეულებას.

ლიეღლივა სდუმდა.

— თ, რატომ არ დაიქცენ ეს ნაპირები, რომ შენ აქ გამოხვედ..

ეუბნოდნენ ლიეღლივას ქალები.

მონათესავე გეარტომის ზნეჩვეულების დარღვევის დონე არ ეყო ლიეღლივას, არ იცოდა თავისი თავი ვისთვის მიეცა.

— თ, რატომ არ დაიქცენ ეს ნაპირები, რომ შენ აქ გამოხვედ..

უბრუნებდნენ ქალები საყვედურს. საყვედურმა მოაგონა ლიეღლივას წარსული დღეები.. მოაგონდა რომ იგი ქვამ გომოიხმო. მივიდა, მიმართა ქვას: «შენ გამოიხმე, ჩემი გული ბანდურს შენ მიეცი.. მოთხარ, ბედის ქვა, მე სად წავიდე.. თავი ჩემი ვის მიეცი?»

ემუდარებოდა ქვას ლიეღლივა. მის მწუხარებით სა და დედამიწა ატირდა და ქვა როგორ გამოაკლდებოდა ქვეყანას.. ქვასაც შეებრაღა ლიეღლივა, ადგა და ბანდურთან მივიდა. ლიეღლივას მიჰყვა ქვას და ბანდურის გულს მიეცა*!

ინდო ინასარი

*) შემდეგისათვის დაიბეჭდება «ვახის სიზმარი»

კავკასიის გაერთიანების იდეა

1.

შესავალი

ადამიანის ორგანოების გაერთიანება და თანხმობა ჩვენი იდეის ამოსავალია, რომელიც აკვიცყანს კავკასიის გაერთიანებამდის.

მაშ, ჯერ ამოსავალი გავშინჯოთ, გავიგოთ ანაკების თავისებურება, რომ შემდგომ ჩვენი შენობაც მისი აღნაგობის-დაგვარად ავაგოთ.

ადამიანის ორგანოებისათვის გაერთიანება და თანხმობა კავკასიის— დამოუკიდებლობის თავდებია.

ადამიანის ბუნებას გული განაგებს. გონიერება და დანაზრჩევი ორგანოები მხოლოდ მისი მორჩილი არიან.

არ დაემორჩილება გონება გულს-საქმესა და კაცს მკვდარი! არ დაემორჩილება ფეხს გულს?— კაცისა და საქმეს კოჭლია!

არ დაემორჩილება მკლავი გულს?
—კაცისა და საქმეს ხელმოტეხილია
და ასე თითოეულ ორგანოს ნაკლით
კნინდება და ჰყენება ადამიანის ორ-
განიში.

ორგანოების მოვალეობა—კი არ
მოკლან, გული ასობსლონ.. სისო-
სხლეს კიდევ მათი გაერთიანება და
თანხმობა უნდა.

ეს მსჯელობა რომ უკლებლივ
კავკასიის გაერთიანების იდეაში გა-
დავიტანოთ, გარკვეულად გვევალე-
ბა თავდაპირველად ჯერ იღვის გუ-
ლი გამოვინახოთ და შემდგომ ქერ-
ქების შესხმავზე ვისაუბროთ.

2

კულტურულ-პოლიტიკური
ეპიტეტი «კ ა ე კ ა ს ი ე ლ ი ა»*)

ადამიანის აგებულების გულის
მიგნება უმალ არ ხდება. სათანადო
გზის გავლით ანუ სხეულის საოპე-
რაციით მოქმედით შეიძლება მისვლა,
მიგნება გულის, მისი სიფართოვისა
და მოყვანილობის გაგება.

აი ჩვენს, გაერთიანების გულამ-
დის ერთგვარი საოპერაციოდ მოსა-
ქმევი მასალა მოგვჭაქვს.

«კავკასიათ, კეთილთა მკითხველთა,
დღემიწაზე არასოდეს კულტურულ-
პოლიტიკური ორგანიზმის მნიშვნე-
ლობას არ გადმოსცემდა. არა, იგი
მხოლოდ მიწაწყლისაღწერითი (გეო-
გრაფია) ეპიტეტი იყო, როგორც კარ-
პატი, ევროპა, აზია, მსირეაზია და
სხვა. თქმა—ევროპიელი ვართ—ამით
ჯერ კიდევ სრულიად არაა გარკვე-
ული თუ სახელდობრ რომელ კულ-
ტურულ-პოლიტიკურ სხეულს ეკუ-
თვნის მოქმედი: ინგლისურის, ფრან-
გულის, გერმანულის... კულტურულ-
პოლიტიკურ სხეულებით ევროპა
უხვად მოყვანილია!

რას ნიშნავს კულტურულ-პოლი-
ტიკური ორგანიზმი და შეგვიძლია
თუ არა იგი კავკასიას დავათქვათ?

არა, რასაკვირველია!

ადგილმა ასეთი სახელწოდება მა-

*) ეპიტეტი «კავკასიელს» იდეურად
ვიღებთ ადამიანსწინ და ბორს-
შესხმისათვის სას მსხვერპლს მივი-
ტანთ.

სხე მობინადრეთა გულით უნდა დაი-
ნათლოს. მაგალითად, უერ გერმანე-
ლები უნდა ბინადრობდნენ სადმე,
რომ შემდგომ მათ დაკავებულ მიწა-
წყალსაც გერმანია ეწოდოს. ამასთა-
ნავე «გერმანია» ამ გაშლაში შეიძლე-
ბა დღეს ერთს და ზეალ სხვა ადგილს
ერქვას იმის და მიხედვით თუ თვით
გერმანელები საით წაიწვეწამოიწე-
ვენ.

ამ რიგით ადგილს ხალხი აძლევს
კულტურულ-პოლიტიკურ ეპიტეტს.
მაგრამ არის საწინააღმდეგო შე-
მთხვევა, რაჟა ხალხი მიწაწყლის სა-
ხელს სესხულობს.

შევიპარიაში მობინადრემ შევი-
პარიის მთებს ხმა და სახელი მოსთ-
ხოვა, ამერიკაში მობინადრემ ამე-
რიკას...

და შეუძლია თუ არა კავკასიის
მსხვერპლსაც, ძალის ხმევისათვის,
კავკასიის მთებს ხმასა და სახელს
დაესესხოს?

თ, როგორ არ შეუძლია! ეს იქნე-
ბა მხოლოდ ეპიტეტი, ახალ კულ-
ტურულ-პოლიტიკურ სხეულის მო-
ბის სახელი.

ამისათვის კავკასიის მობინადრე-
ებმა უნდა მიიტანონ საერთო სამ-
სხვერპლოზე აწ არსებული თავიანთი
კულტურულ-პოლიტიკური ჩარჩო-
ები და ჩაღწეონ, მისცენ ხელი ზელს.
ადამიანის ორგანობისათვის გაერ-
თიანდნენ კავკასიის დამოუკიდებლო-
ბის ასაგებად.

საერთო კეთილდღეობის საკურ-
თხველმა უნდა მიიღოს ოსის, ჩერ-
ქების, ინგუშის, ჩეჩენის, ლეკის,
ქართველის, აზირბეიჯანელის კუ-
ლტურულ-პოლიტიკური გამოხე-
დვის გამოთქმა და სამაგიეროდ სა-
ხელწოდება «კავკასიელი» და დაუ-
ბრუნოს.

დაბრუნებულნი უკან თავთავიანთ
ფანჯრებიდან დაინახვენ უკვე ახალ
გარე-მოხედვას. მაგალითად, აზირ-
ბეიჯანელი აზირბეიჯანის საზღვრე-
ბის ნაპელოდ კავკასიის მიჯნას მი-
მოაველებს თვალს, ქართველიც სა-
ქართველოს მაგიერ კავკასიის მოუე-
ლის, ლეკიც ლეკეთის იქით კვლავ
კავკასიას დაიპავეს და ასე შემდგომ
მტერ-მოყვრისადმი დახვედრა საერ-

თო კავკასიელის სახელით მოხდებოდა.

როგორც ხედავთ, ჩვენ ეურჩევთ თითოეულ მათგანს თავის სახელწოდება დაავდოს და ყველამ საერთო ძალის ხმებისათვის, საერთო სახელი კავკასიის მთებზეგან ისესხოს.

ეს ხშირად ხდება ცხოვრებაში. საქვეყნო კენიოსებს (კომპრომისს, რუსთაველს, შექსპირს) რომ თავი დაეხებოთ, ისედაც უამრავი კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწე აგდებს ძველ სახელს და საზოგადო ასპარეზზე ახალი სახელწოდებით გამოდის. რა თქმა უნდა ის მხოლოდ ნათლობის გამოთქმას აგდებს ნიშნად თავისი ბუნების უკეთ გამოკვეთისათვის.

ხალხის ბუნებას ადამიანისაგან დაუშლელია და იგი ხშირად მიმართავს ამ ხერხს.

ოდესღაც სასავეთ შალაღსა და ფიქსისავეთ მტკიცე «რომაელის» ხსენებას დღეს «იტალიელის» სახელი ენასკლებდა; ამაყ აფრანგს, «გრენანელსა» და «იტალიელს» გამოთქმა «შვეიცარიელის».

ბრწყინვალე ევროპეელების შვილების წოდებას აშერიკელისა და სხ.

ძნელი და მძიმია გზა. მრავალი დაბრკოლებანი უნდა გადალახოს ამ აქტის მოხდენამ, მაგრამ, რა ვუყოთ, ხალხისა და ადამიანის ძალეები სწორედ დაბრკოლებებს ებრძვიან.

ხალხში და ადამიანში სწრაფვა გაბარების, ძლიერებისადმი დიდი!

მით უფრო, რომ ერთ ერთ ასეთ სიძნელის დაძლევის შემთხვევას თვით ჩვენი ისტორია იძლევა.

დღეს ძნელად და შეხვედებით განათლებულ კაცს საქართველოში—არ იცოდეს, რომ «საქართველო», როგორც კულტურულ-პოლიტიკურ-ეროვნული ეპიტეტი მე-XI საუკუნიდან შემოადის ხმარებაში—იმეტორომეტრე საუკუნეში მწერლობაში ამ სწიებისათვის შესატყვისი სიტყვა შემოვიდა და ყოველი ქართლის მაგიერ ამბობდნენ და სწერდნენ «საქართველო» (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 285), მანამდის «საქართველოს» სწიებას სხვა და სხვა გამოთქმები ვადმოსცემდნენ, როგორც არის «ქა-

რთლი»—«ერთს დროს «ევრისი» მეტათელს დასავლეთს საქართველოს ერქვა და სამხლერებში შესაფერისად იყო გაფართოებული, აგრეთვე «ქართლი» მთელს აღმოსავლეთს საქართველოს, მთელ საქართველოს სახელადამ-კი იწოდებოდა» (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წიგ. II, გვ. 282), უფრო ხშირად ყოველი ქართლი ან ერთობილი ქართლი—«ამისთანა შემთხვევაში, როდესაც სიტყვას «ქართლი» ფართო და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, უმატებდნენ ხოლმე ყოველი, ან «ერთობილი» და ამბობდნენ ხოლმე ყოველი ქართლი, ერთობილი ქართლი-თა» (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., წიგ. II, გვ. 285), საქართველოს სხვები უწოდებდნენ აღზახეთსაც—«არაბთა ისტორიკოსები ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსამ-კი აღზახეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აღზახთა მეფედ იხსენიებენ», (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., წიგ. II, გვ. 311). საქართველო ცნობილი იყო ივერიის და კოლხიდის სახელითაც.

უფრო მართებული იქნება ვთქვათ რომ ქართულ გვარის მოდგმები დროთა ვითარების მანძილზე იმ თემის ეპიტეტს ატარებდნენ ეროვნულ-პოლიტიკურად, რომელიც განაგებდა მის შინა და გარე ურთიერთობას.

ბოლოს, გაერთიანების ხანაში ქართლმა დაიკავა ეროვნულ მოძრაობის შუაგული.

ქართველის სახელწოდებიდან იწარმოვა კულტურულ-პოლიტიკურ-ეროვნული ეპიტეტი—«ქართველი» და «საქართველო».

ამ დღიდან ქართლელსაც და იმერელსაც, მესხსაც და მეგრელსაც, კახსაც და ლაზსაც, სვანსაც და ბეესურსაც, აღზახსაც და ინგლისსაც, გურულსაც და რაჭველსაც უნდა ჩაეღწა თემობრივი ჩარჩოები და ელვიარებიანა—ქართველი და «საქართველო».

ამ დიდებულ აქტმა საქართველოს ოქროს შუქი მიაყენა, ქართველ ერმა ბუნებრივი სახე და ძალა გამოიჩინა.

თანამედროვე ძალთა ვანწყობილება საერთაშორისო ვითარების



მინდორზე მარტო ქართველ ერის გაერთიანებას არ მოითხოვს. არა, მან კავკასიის გაერთიანება მძაფრად, მთელი სიგრძე-სიგანით წამოაყენა. კავკასიის გაერთიანებამაც საერთო ხალხებისა და კერძოდ ქართველ ერის გზა უნდა გაიაროს ე. ი. საერთო ძალის—ხმევისათვის; რატომაც ზევით ვთქვი, საერთო სახელი უნდა ისესხოს შინა და გარე ურთიერთობის მოსაბრუნებლად.

ერთი კია, ქართველების გაერთიანებას სიადვილე ჰქონდა—ერთი ზეგდრისა და სისხლის ხალხი ზედებოდა. სიძნელე მხოლოდ თავმოყვარეობის სახეს იღებდა: დაგდება თავის თემის წოდების სხვა თემის სახელისათვის.

ერთეულ შეგნებამ სძლია სიძნელე. გაიმარჯვა გაერთიანების იდეამ მაშინ—საქართველოში.

კავკასიის გაერთიანების იდეას კი თითქოს საწინააღმდეგო სიძნელე-სიადვილე უღვეს წინ: იხსნება თავმოყვარეობის საკითხი, რადგან ყველას ერთნაირად მოუხდებოდა სახელწოდების დაგდება ახალისათვის, მხოლოდ ზედებიან თუ არა ერთი ზეგდრისა და სისხლის ხალხები?

მანამ კითხვაზე პასუხს მიუგებდეთ უნდა გავიგოთ ვინა და ვინ არიან კავკასიელები.

(გაგრძელება იქნება)

ინლა ინასარი

1925-1930 წ.

რფილის-პარიზი

უცხოეთში მყოფ ქართველებს

გულთბილ ტფილისის შობილი «ადამიანოსანი» მწუხარება იმით, რომ თავის დედის კალთებით ვერ თბება და ჭარბშლით გადმოხვეწილი ვითარსა ფოთოლი, პარიზის ქუჩებში უმუნვას, უკნობას ეძლევა.

თანამედროვე ეპოქის ქართველმაც უნდა გამოიტანოს ტკივილებით დაკადილი და უმუნვით დასერილი გამოხვედვა საკაცობრიო გამობრზე.

დაე, მომავალ თაობებმა თქვან—
«იყვენი ქართველები ტკივილებს ამღერებდენ და ქვეყანას ამხნევებდენ!»

ადამიანის, ერის, სქესის, პიროვნების და თანამედროვე თაობის ტკივილების ასამღერებლად გამოდის «ადამიანოსანი».

მაშ, უცხოეთში მყოფთა ქართველო, თუ გინდათ თანამედროვე ტკივილებმა იმღერონ უმუნვის გამოსატანად, ქვეყნის გასამხნეველად—თქვენი წელილი მიიტანეთ «ადამიანოსანმა» არ შესწყვიტოს თავისი არსებობა.

თითულ ქართველმა შეიძინოს «ადამიანოსანი» აი, ყურნალის საარსებო წყარო—გაწედიტ ხმას და ამით

ვიხდით მოვალეობას თანამედროვებისადმი.

მიიღეთ ქვედაში პატისის-სემა ადამიანის მეგობარი

ინლა ინასარი

შემოდგომა 1930 წ.

ქ. პარიზი.

კეთილ ადამიანებს

თავისუფალი სიტყვისა და იდეის მკვლევლებს—კომუნისტებს გამოვეცალეთ ადამიანის აზრისა და განცდის გადასარჩენად. წამოვიღეთ წიგნი «ადამიანოსნობა», მაგრამ აქაც ნივთიერ სულმოკლეობა ხელს უშლის გამოქვეყნებას.

კეთილ ადამიანებს მივმართავთ და გვჯერა რომ უცხოეთშიც იქნებიან სულმადალი ქართველები, რომლებიც გაუწყვენ დახმარებას წიგნის გამოცემას.

თუმცაღა ვიპიით თითოეული ლტოლვილი განცდის ნივთიერ გაზიარებას, მაგრამ «წვეთი წვეთობით ზღვა შედგება».

წიგნი ფილოსოფიური შინაარსისა და ეხება მრავალ საკითხებს—დასაბამ-დასასრულს, სიკვდილ-სიძო-სხლეს, ყოფნას, ყოფნის აზრს, ღმერთს, აღიშინანს, ერს, სქესს, პიროვნებას, მათ ყოფას და სხვა.

თუ მიმართვა კეთილ ადამიანებში თანაგრძნობას გამოაღვიძებს, ეთხოვთ შემოწირულების გაღება ან შემოწირულების შეგროვების ინიციატივის თავის თავზე მიღება რედაქციის მისამართით გეპაწმობოს.

ჩვენ კი ჩვენ მიმართვასა და მათ ღვაწლს მომავალ თაობას გადავსცემთ.

წიგნის—ადამიანობის ავტორი ინდო ინასარი

გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ე ა რ თ

წუთისთვლის სიგერაგემ ნივთიერი გაჭირვება დაგვატეხა და ბინიდან კარში გამოგვადღო.

მიუხაფართა მწუხარება თქვენს შეგეტუტოთ, ძვირფასო მამულისშვილებო, დაგვერდით: სახელდახელეთ მოეახერხეთ 500 ფრანკი თქვენი გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოხსნისათვის... სურგო საყულაშვილი, დღო დიასამიძე, პალე დიასამიძე, ემლო ზედგინიძე, შიტო მახარაშვილი და სხვა მატრამ პარიზში მყოფ გულშემატკიცებართა თანაგრძნობა უფრო ადრე მოგვეშეგლა და მშრალი პუროსა და სიეი ბინის თული უკვე გქვონდა, როსა თქვენი დახმარება მივიღეთ.

და რადგან ჩვენი თავი დაბნეილად ვიგულებთ, თქვენი თანაგრძნობითა გამოვეცით, ურნალი ადამიანობისანი გამოვიხსენი ნივთიერ გაჭირვებიდან. მიიღეთ ჩვენი დაუფიწყარი მადლობა.

ანდა ინასარი
ინდო ინასარი

შემოდგომა 1930 წ.
პარიზი

რედაქტორი ინდო ინასარი
Rédaction Indo Inassari

რედაქციის მისამართი :
53, Avenue du Bas Meudon
ISSY-LES-MOULINEAUX
(Seine). France.

Le Gérant L. OTTOLINI.

გაბეგეობაში გაპარულია დაუშვებელი შეცდომა:

გვ. 16, სვეტი 11, სტრიქ. 10 (ქ. ნ.)

დაბეჭდილი არის:

უნდა იყოს:

ინგლისაპ

ინგილოსაპ

რედ.